ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2846783

ნომერი: AR1437436

თარიღი : 05.09.2016

გაცემის თარიღი : 20.09.2016

გაცნობის თარიღი : 20.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვაგზალი , N 2 , (ნაკვ. 05/056) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

ვინაიდან ეწყობა პანდუსი, გაითვალისწინეთ შემდეგი: პანდუსის ქანობი არ უნდა აღემატებოდეს 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში 8%).
პანდუსის გარეთა გვერდებისა და ბაქნების მოედნების კიდეებზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ქიმების მოწყობა, სიმაღლით არანაკლებ 10 სმ-ისა. მოეწყოს მოაჯირი, რომლის სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, შედგენილი გრძივი ღეროებისაგან 0,5 მეტრის და 0,7 მეტრის სიმაღლეზე. შესასვლელთან ბაქანზე გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილი მანევრირებისათვის (ეტლის მოტრიალების რადიუსი 1,50მ.), ხოლო კარის მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, შედგენილი გრძივი ღეროებისაგან 0,5 მეტრის და 0,7 მეტრის სიმაღლეზე.

საპროექტო ჭრილებთან ერთად წარმოდგენილ იქნას არსებული სარეკონსტრუქციო შენობის ფასადების ჭრილები. წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით კვლავ დგინდება, რომ სარეკონსტრუქციო მინის ვიტრაჟი არ ეწყობა არსებული ღიობების სიბრყეებზე, მოგახსენებთ, რომ რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს არსებული მდებარეობის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ხელშეკრულება არ არის საკმარისი, დამატებით წარმოადგინეთ სატენდერო დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ, ან წარმოდგენილ იქნას მესაკუთრის თანხმობა.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.